



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media.

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. ინტენსიური ხუთდღიანი ტრენინგ-იმედიამენტები
2. Bertha Challenge-ის კონკურსი გამომძიებელი ჟურნალისტებისათვის
3. კონკურსი One World Media
4. სტიპენდია ამერიკაში ეკო-ჟურნალისტიკის სემინარზე დასასწრებად
5. სტიპენდია Future News Worldwide
2020 კონფერენციაზე დასასწრებად ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის
6. სტაჟირება მსოფლიო პრესის ინსტიტუტში
7. საბაფხულო სკოლა: როგორ მოვიპოვოთ აუდიტორიის ნდობა და შევქმნათ დაფინანსების მდგრადი მოდელები ჟურნალისტიკისთვის
8. UNESCO-ს პრემია პრესის თავისუფლებაში შეტანილი წვლილისთვის
9. Night Journalists-ის კონკურსი
10. მამაც ფოტო ჟურნალისტთა პრემია
11. სტიპენდიების ამეცნიერო, სამედიცინო და ეკო-ჟურნალისტებისთვის
12. საგრანტო კონკურსი ახალი ორგანიზაციებისთვის
13. სამაგისტრო პროგრამა გლობალური ბიზნეს-ჟურნალისტიკის მიმართულებით
14. NED-ის გრანტები დამოუკიდებელი მედიისთვის
15. CVCE Photo-საერთაშორისო ფოტო კონკურსი, თემა-სამთოსახეობის სპორტი
16. ფრილანსერის ვაკანსია Culture Trip

1. ინტენსიური ხუთდღიანი ტრენინგი მედია მენეჯმენტში

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

სტოკჰოლმის ეკონომიკური სკოლის მედია ცენტრის ორგანიზებული კურსი შედგება რიგაში. მონაწილეები შეძლებენ გაიღრმავონ ცოდნა სტრატეგიული განვითარების, მარკეტინგის და პროექტების მართვის მიმართულებით.

კურსი გაიმართება 3-დან 7 მარტამდე, 2020წ. სტიპენდია სულ გაიცემა 12 მონაწილეზე. ის ფარავს სწავლების, საერთაშორისო მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2vaJtCv>

განაცხადის ვადა: 10 თებერვალი 2020 წ.

2. Bertha Challenge-ს კონკურსი გამომძიებელი ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

Bertha Foundation სოციალური სამართლიანობის თემაზე კოლაბორაციული საგამომძიებო ჟურნალისტური პროექტების ხელშეწყობის მიზნით იწყებს კონკურსს Bertha Challenge. სტიპენდიის მისაღებად განცხადების წარდგენა შეუძლიათ საგამომძიებო ჟურნალისტებს და აქტივისტებს. შერჩეულ მონაწილეებს შეუძლიათ ერთი წლის განმავლობაში იმუშაონ პროექტებზე, რომლებიც პასუხობენ შემდეგ შეკითხვას: „როგორია სარგებლისა და პოლიტიკის გავლენა კლიმატურ და ეკოლოგიურ კრიზისზე და რისი გავლენა შეუძლიათ აქტივისტებს და გამომძიებელ ჟურნალისტებს ამ პრობლემის გადასაჭრელად?“. ორგანიზატორები პროექტების დაფინანსებისთვის გამოყოფენ 60 000 დოლარამდე და 10 000 დოლარამდე ტრენინგებისთვის, საკონსულტაციო დახმარებისთვის, შეხვედრებისა და გამოცდილების გაზიარებისთვის.

დანვრილებით: <https://bit.ly/2uoUr77>

განაცხადის ვადა: 10 თებერვალი 2020 წ.

3. კონკურსი One World Media

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

ჯილდო One World Media Awards მიენიჭებათ ჟურნალისტებს, რომლებიც მუშაობენ ნაკლებად გახმაურებულ თემებს, რომელთაც არ ჰქონდათ საკმარისი გაშუქება. თემატიკა უნდა შეეხებოდეს, სოციალური, პოლიტიკურ თუ კულტურულ მოვლენებს პოსტსაბჭოთა სივრციდან, აფრიკიდან, აზიიდან, კარიბის აუზის ქვეყნებიდან, ლათინური ამერიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან.

კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან. წარდგენილი მასალები უნდა იყოს გამოქვეყნებული 2019 წლის 14 თებერვლიდან 2020 წლის 13 თებერვლამდე. კონკურსი იმართება 14 კატეგორიაში. ასევე განკუთვნილია პრიზი დამოუკიდებელი მედიისთვის განვითარებადი ქვეყნებიდან.

დანვრილებით: <https://bit.ly/2S0NcM2>

განაცხადის ვადა: 13 თებერვალი 2020 წ.

4. სტიპენდია ამერიკაში ეკო ჟურნალისტიკის სემინარზე დასასწრებად

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

ჟურნალისტებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ეკოლოგიური საკითხების გაშუქებით, შეუძლიათ წარადგინონ განაცხადები აშშ-ში როდ აილენდის შტატში დაგეგმილ სემინარში მონაწილეობისთვის.

Metcalf Institute ინსტიტუტი განაცხადებს იღებს ჟურნალისტებისაგან მთელი მსოფლიოდან. სემინარი გაიმართება 7-12 ივნისს როდ აილენდის უნივერსიტეტის ოკეანოგრაფიის უმაღლეს სკოლაში. <http://www.gso.uri.edu/> (URI)

სემინარის თემაა «ხარისხის საკითხი: როგორ ცვლის 2 გრადუსი ცელსიუსით მსოფლიოს»

მონაწილეები გაეცნობიან კლიმატის ცვლილების შესახებ მეცნიერების სხვადასხვა ასპექტს. გაიგებენ, თუ როგორ ატარებენ მეცნიერები კვლევებს. მიღებული უნარები მათ აუდიტორიისთვის რთული სამეცნიერო ინფორმაციის მარტივი ფორმით მიწოდებაში დაეხმარებათ. პროგრამა ფარავს, მგზავრობის, სწავლების, საცხოვრებლის და კვების ხარჯებს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2GWZMFL>

განაცხადის ვადა: 14 თებერვალი 2020 წ.

5. სტიპენდია Future News Worldwide 2020 კონფერენციაზე დასასწრებად ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

კონფერენცია Future News Worldwide 2020, რომელიც მსოფლიოში ახალი ამბების ინდუსტრიის მომავალს ეხება, ორგანიზებულია ბრიტანეთის საბჭოსა და მედია პარტნიორების მიერ. ის გაიმართება 14-15 ივლისს ლონდონში. განაცხადების წარდგენა შეუძლიათ სტუდენტებს და მაგისტრანტებს 18-დან 25 წლამდე.

კონფერენცია მხარს უჭერს ჟურნალისტებს, რომლებიც მიისწრაფვიან პროფესიული სრულყოფისკენ. შერჩეულ მონაწილეებს ორგანიზატორები სრულად დაუფარავენ კონფერენციაში მონაწილეობის, მგზავრობის, საცხოვრებელ და კვების ხარჯს.

დანვრილებით: <https://bit.ly/3b9bhlh>

განაცხადის ვადა: 14 თებერვალი 2020 წ.

6. სტაჟირება მსოფლიო პრესის ინსტიტუტში

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

მსოფლიო პრესის ინსტიტუტი (World Press Institute) გამოცდილ ჟურნალისტებს, რომლებსაც აქვთ სურვილი უკეთ გაიცნონ ამერიკული ჟურნალისტიკა, სთავაზობს სტაჟირების პროგრამას. განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, რომლებიც ცხოვრობენ ამერიკის საზღვრებს მიღმა. სტიპენდიანტები გააშუქებენ სხვადასხვა სოციალურ თემას და გაეცნობიან თუ როგორ აკეთებს ამას ამერიკული მედია.

სტაჟირება შედგება 2020 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე. მონაწილეები გაატარებენ სამ კვირას მინისოტაში, შემდგომში კი გაემგზავრებიან რამდენიმე ქალაქში, მათ შორის ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში. ამ ხნის განმავლობაში დაესწრებიან ბრიფინგებს, ჩანერენ ინტერვიუებს და ა.შ.

პრეტენდენტებს უნდა ჰქონდეთ ჟურნალისტად მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება. თავისუფლად უნდა ფლობდნენ ინგლისურს და ჰქონდეთ ლიდერის თვისებები.

დანვრილებით: <https://bit.ly/2N2CJgg>

განაცხადის ვადა: 14 თებერვალი 2020 წ.

7. საზაფხულო სკოლა: როგორ მოვიპოვოთ აუდიტორიის ნდობა და შევქმნათ დაფინანსების მდგრადი მოდელები ჟურნალისტიკისთვის

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

საზაფხულო სკოლა ორგანიზებულია ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მიერ 29 ივნისიდან 3 ივლისამდე, ბუდაპეშტში, უნგრეთი.

კურსის მიზანია, მონაწილეებს შესთავაზოს ტრენინგი პრაქტიკულ უნარებში, რაც მათ აუდიტორიასთან ეფექტური ურთიერთკავშირის დამყარებაში დაეხმარებათ. სწავლება ასევე დაეთმობა დაფინანსების მოდელების განვითარებას.

კურსი გათვლილია ადამიანებზე, რომლებიც უკვე არიან ჟურნალისტების, მედია მენეჯერები ან არიან აქტივისტები, რომლებიც მუშაობენ მედიაში და პირდაპირ ზემოქმედებენ აუდიტორიაზე.

კურსი ასევე შეიძლება იყოს საინტერესო მკვლევარებისთვის, რომლებიც სწავლობენ მედიაში ნდობის და ბიზნეს მოდელების საკითხებს.

დანვრილებით: <https://bit.ly/371KNoK>

განაცხადის ვადა: 14 თებერვალი, 2020 წ.

8. UNESCO-ს პრემია პრესის თავისუფლებაში შეტანილი წვლილისთვის

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

გილიერმო კანოს სახელობის UNESCO-ს მიერ დაწესებული პრემია <https://en.unesco.org/> ენიჭებათ ადამიანებს მთელი მსოფლიოდან, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პრესის თავისუფლებაში. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მათი საქმიანობა დაკავშირებული მაღალ რისკებთან და რეპრესიებთან.

25 000 დოლარის ოდების პრემიის მისაღებად კანდიდატების წარდგენა შეუძლიათ საერთაშორისო და ადგილობრივ პროფესიულ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია პრესის თავისუფლებასთან და ჟურნალისტიკასთან.

პრემიის მფლობელი დასახელდება ჰააგაში, 23 აპრილს მსოფლიო პრესის თავისუფლების დღეს.

განაცხადები მიიღება როგორც ინგლისურ ისე ფრანგულ ენებზე. თან დართული ნომინანტის ბიოგრაფიით.

დანვრილებით: <https://bit.ly/2ShT5mY>

განაცხადის ვადა: 15 თებერვალი 2020 წ.

9. Night Journalists-ის კონკურსი

გეოგრაფია - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, ახლო აღმოსავლეთი

ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი ICFJ იღებს განაცხადებს საერთაშორისო პრემიაზე Knight International Journalism Award – 2020 ნომინირების მიზნით. ამ ჯილდოზე შეიძლება იყონ წარდგენილი ნოვატორი ჟურნალისტების მთელი მსოფლიოდან: ჟურნალისტები, რედაქტორები, მედია მენეჯერები, სამოქალაქო ჟურნალისტები და ბლოგერები, რომლებიც სფეროში ინოვაციებს წერავენ, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებ მოქალაქეებზე.

ლაურეატები დაჯილდოვდებიან ვაშინგტონში ICFJ მიერ ორგანიზებულ ცერემონიაზე 2020 წლის 12 ნოემბერს. ყოველი გამარჯვებული მიიღებს პრიზს 10 000 დოლარის ოდენობით და სამახსოვრო სიმბოლურ საჩუქარს.

დანვრილებით: <https://bit.ly/382x0zk>

განაცხადის ვადა: 21 თებერვალი 2020 წ.

10. მამაც ფოტოჟურნალისტთა პრემია

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

მედიაში დასაქმებულ ქალთა საერთაშორისო ფონდი IWMF იღებს განაცხადებს ანი ნიდრინგჰაუს სახელობის მამაცი ფოტოჟურნალისტის პრემიის მისაღებად. პრემია დაფუძნდა ანი ნიდრინგჰაუს საპატივცემულოდ. ის ავღანეთში 2014 წლის აპრილში მოკლეს.

ჯილდო ენიჭებათ ფოტოჟურნალისტ ქალებს, რომლებმაც პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ხიფათის მიუხედავად, გამოავლინეს შეუპოვრობა, თავდადება და სიმამაცე მუშაობისას. <http://www.youtube.com/watch?v=bbJQv8cUEas>.

კონკურსში მონაწილეობისთვის საჭიროა 12 ფოტონამუშევრის წარდგენა. ნამუშევრები საუკეთესოდ უნდა წარმოაჩენდნენ კანდიდატის მუშაობის სტილს. განაცხადი მიიღება ინგლისურ ენაზე.

კონკურსის გამარჯვებული მიიღებს ფულად პრიზს 20 000 დოლარის ოდენობით, მისი ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი ამერიკაში გერმანიის ელჩის რეზიდენციაში.

დანვრილებით: <https://bit.ly/2S0AtZW>

განაცხადის ვადა: 23 თებერვალი 2020 წ.

11. სტიპენდიები სამეცნიერო, სამედიცინო და ეკო ჟურნალისტებისთვის

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

სამეცნიერო ჟურნალისტების პროგრამა Logan Science Journalism Program ორგანიზებას უწევს ორ ინტენსიურ სემინარს ჩიკაგოს უნივერსიტეტის საზღვაო ბიოლოგიის ლაბორატორიაში ჟურნალისტებისთვის, რომელთაც სურთ უკეთ გაეცნონ ბიომედიცინის და ეკოლოგიურ კვლევებს.

აღნიშნულ სტიპენდიაზე განაცხადის შეტანა შეუძლიათ ჟურნალისტებს, რომლებიც მუშაობენ აღნიშნული მიმართულებით და აქვთ არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

პროგრამა შედგება 26 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით. ბიოსამედიცინო კვლევების კურსზე მიწვეული არიან ჟურნალისტები, რომლებიც სამედიცინო საკითხებს ამუშებენ, ხოლო ეკო კურსი განკუთვნილია ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ეკოლოგიის თემებს ამუშებენ.

სტიპენდია ფარავს სწავლების საფასურს, ცხვრების, მგზავრობის და კვების ხარჯს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2SnMEPp>

განაცხადის ვადა: 24 თებერვალი 2020 წ.

12. საგრანტო კონკურსი ახალი ორგანიზაციებისთვის

გეოგრაფია - საქართველო

«ევროპის ფონდი» იწვევს სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომლებიც განვითარების სანყის ეტაპზე იმყოფებიან, მონაწილეობა მიიღონ მცირე გრანტების კონკურსში. კონკურსის მიზანია სათემო ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ დონეზე სათემო პრობლემების გადაჭრის პროცესში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ არამომგებიან არაკომერციულ სამოქალაქო ორგანიზაციებს, არანაკლებ ერთწლიანი მუშაობის გამოცდილებით. პროექტის განხორციელებაში არ უნდა იყოს ჩართული საჯარო პირები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

თითო პროექტისათვის განსაზღვრული მაქსიმუმ 15, 000 ლარის ოდენობის საგრანტო დაფინანსება. პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 6 თვისა.

მიღებული დაფინანსება უნდა განიკარგოს უშუალოდ პროექტით განსაზღვრული აქტივობებისთვის.

განაცხადი უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელ. ფოსტაზე: nnemsitsveridze@epfound.ge

დანვრილებით: <https://bit.ly/3bdxzZd>; საკონტაქტო პირი: ვიქტორ ბარამია, პროგრამის მენეჯერი vbaramia@epfound.ge

განაცხადის ვადა: 24 თებერვალი 2020 წ. 18:00.

13. სამაგისტრო პროგრამა გლობალური ბიზნეს ჟურნალისტიკის მიმართულებით

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

ცინხუას უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის და კომუნიკაციის სკოლა გაძღვევთ შესაძლებლობას ისწავლოთ გლობალური ბიზნეს ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე. პროგრამის მიზანია, მიანოდოს საჭირო განათლება ახალი თაობის ჟურნალისტებს, რათა მათ უკეთ შეძლონ საზოგადოების ინფორმირება გლობალური ეკონომიკის საკითხების შესახებ.

ცინხუას უნივერსიტეტის, ჟურნალისტების საერთაშორისო ცენტრის და Bloomberg News-ის ერთობლივი პროგრამა გათვლილია ორ წელიწადზე და ისწავლება ინგლისურ ენაზე. პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა დაახლოებით ნახევარი ჩინეთს მცხოვრებია, მეორე ნახევარი კი წარმოდგენილია საერთაშორისო სტუდენტებით. გამოყოფილია შებლუდული რაოდენობის გრანტები.

დანვრილებით: <https://bit.ly/3beWVpN>

განაცხადის ვადა: 1 მარტი 2020 წ.

14. NED-ის გრანტები დამოუკიდებელი მედიისთვის

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი NED იღებს განაცხადებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიებისაგან საგრანტო მხარდაჭერის მოსაპოვებლად. პროექტები მიზნად უნდა ისახავდეს დემოკრატიის და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას.

საგრანტო დაფინანსების ოდენობა დამოუკიდებელია მასშტაბსა და სამოქმედო სფეროზე. სტანდარტულად ითვლება 12 თვეზე განერილი 50 000 დოლარის დაფინანსების პროექტი.

დანვრილებით: <https://bit.ly/2OszhfJ>

განაცხადის ვადა: 27 მარტი 2020 წ.

15. CVCEPhoto- საერთაშორისო ფოტო კონკურსი, თემა- სამთო სახეობის სპორტი

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

CVCEPhoto -ს მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ფოტო ნამუშევრები, ასახავს სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობებს: ალპინიზმი, თხილამურებზე სრიალი და ა.შ.

მიიღება ციფრულ ფორმატში შესრულებული ნამუშევრები, (JPEG ფორმატი და არანაკლებ 1,600/1,200 პიქსელი). თითო ფაილის ზომა არე უნდა აღემატებოდეს 2 MB.

პირველ ადგილზე გასული მიიღებს – 1400€ , მეორე ადგილისთვის გათვალისწინებულია – 700€, მესამე – 300€. არის ასევე სპეციალური პრიზი – 700€.

დანვრილებით: <https://bit.ly/2UyiRWG>

განაცხადის ვადა: 31 მარტი 2020 წ.

16. ფრილანსერის ვაკანსია Culture Trip

გეოგრაფია - აზერბაიჯანი, საქართველო და მსოფლიოს სხვა ქვეყნები

გამოცდილ ჟურნალისტებს **შეუძლიათ** განაცხადების წარდგენა შემდეგ ვაკანსიებზე:

საერთაშორისო სტარტაპი Culture Trip, რომელიც სპეციალიზირებულია მედიასა და ტექნოლოგიებზე ეძებს მწერლებსა და კინემატოგრაფისტებს კულტურისა და მოგზაურობის თემაზე ნამუშევრების შესაქმნელად.

ორგანიზაციას ესაჭიროება ჟურნალისტები აზერბაიჯანში, საქართველოში და კიდევ არაერთ ქვეყანაში.

დანვრილებით: <https://bit.ly/31pyTDY>

© **Baltic Centre for Media Excellence, 2020**

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები:

ალინა რუდინა, არშალუის მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიეკსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამონურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

- sseriga.edu
- berthafoundation.org
- oneworldmedia.org.uk
- metcalfinstitute.org
- britishcouncil.org
- worldpressinstitute.org
- summeruniversity.ceu.edu
- en.unesco.org
- tfaforms.com
- iwmf.org
- mbl.edu
- epfound.ge
- rna.org
- ned.org
- cvcephoto.com
- theculturetrip.com